საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განმარტა, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს დანიშნული სასჯელის მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან შესაბამისობის თაობაზე (საქმე №39აგ-12).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდებულ რ. ბ-ის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ არსებული განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაკმაყოფილდა და მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (რომლისთვისაც მისჯილი ჰქონდა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა) გადაკვალიფიცირდა სსკ–ის 260-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე (სასჯელის სახით ითვალისწინებს 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას) და მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულმა რ. ბ-მ საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 აგვისტოს განაჩენით მას სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სანქციის მაქსიმუმია. აღნიშნული არ გაითვალისწინა სააპელაციო სასამართლომ და მას ფაქტობრივად დაუმძიმა მდგომარეობა, რადგან მას წინა განაჩენით განსაზღვრული ჰქონდა სასჯელის საშუალო ზომა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს გადასასინჯი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე. საპროცესო კოდექსის ამ მოთხოვნებიდან და სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მსჯავრდებულს უნდა შეუმცირდეს სასჯელი იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა აღემატება ახალი კანონით დადგენილი სასჯელის ზომის მაქსიმუმს. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეამციროს მისი ზომა და, შესაბამისად, იმსჯელოს დანიშნული სასჯელის მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან შესაბამისობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა, რის გამოც უცვლელად დატოვა იგი.

№39აგ-12 19 სექტემბერი, 2012 წელი
ბ-ვი რ., 39აგ–12 ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დავით სულაქველიძე (თავმჯდომარე),
გიორგი შავლიაშვილი, პაატა სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. ბ-ვის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 აგვისტოს განაჩენზე.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 სექტემბრის განაჩენით **რ. ბ-ვი**, – დაბადებული 1981 წლის 22 იანვარს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ–ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2010 წლის 26 მარტიდან. მასვე 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით – „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი სხვა უფლებები.

2012 წლის 26 ივლისს მსჯავრდებულმა რ. ბ-ვმა მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით და „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კანონის საფუძველზე მოითხოვა მისი ქმედების საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან ამავე მუხლის 1-ელ ნაწილზე გადაკვალიფიცირება და სანქციით გათვალისწინებული სასჯელის განსაზღვრა იმის გათვალისწინებით, რომ მას არ ჰქონია მისჯილი სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქციით განსაზღვრული მაქსიმალური სასჯელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდებულ რ. ბ-ვის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა: რ. ბ-ვის ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ–ის 260-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული რ. ბ-ვი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 აგვისტოს განაჩენით მას სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სანქციის მაქსიმუმია. აღნიშნული არ გაითვალისწინა სააპელაციო სასამართლომ და მსჯავრდებულს ფაქტობრივად დაუმძიმა მდგომარეობა, რადგან მას განაჩენით განსაზღვრული ჰქონდა სასჯელის საშუალო ზომა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული რ. ბ-ვი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 აგვისტოს განაჩენის შეცვლას და დანიშნული სასჯელის შემცირებას სანქციით გათვალისწინებული სასჯელის შუა ზღვრამდე.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს გადასასინჯი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე. საპროცესო კოდექსის ამ მოთხოვნებიდან და სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მსჯავრდებულს უნდა შეუმცირდეს სასჯელი იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა აღემატება ახალი კანონით დადგენილი სასჯელის ზომის მაქსიმუმს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეამციროს მისი ზომა და, შესაბამისად, იმსჯელოს დანიშნული სასჯელის მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან შესაბამისობის თაობაზე.

ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც უნდა დარჩეს უცვლელად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 314-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ რ. ბ-ვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 2 აგვისტოს განაჩენი რ. ბ-ვის მიმართ დარჩეს უცვლელად:

რ. ბ-ვის ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 260-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე;

რ. ბ-ვს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვროს 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.